თსუ აკადემიური საბჭოს წევრთა
საარჩევნო კომისია

სულ:	9 წევრი
კვორუმი:	5 წევრი
სხდომის თარიღი:	8 ოქტომბერი, 2014 წ. (16:30 სთ.)

1	ირაკლი კობახიძე (თავმჯდომარე)	
2	დემეტრე ეგნატაშვილი (თავმჯდომარის მოადგილე)	
3	გიორგი ამირანაშვილი (მდივანი)	
4	ინეზა გაგნიძე	
5	ნინო დურგლიშვილი	
6	ვალერიან რამიშვილი	
7	ეკატერინე ფირცხალავა	
8	ჯენარა ქრისტესაშვილი	
9	რამაზ ხომერიკი	

სხდომის მდივანი /გ. ამირანაშვილი/

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრთა საარჩევნო კომისიის

სხდომის ოქმი N2

8 ოქტ., 2014 წ.

თსუ მეორე აკადემიური კორპუსი, ოთახი N245

<u>**სხდომას ესწრებოდნენ:**</u>

1. ირაკლი კობახიძე (თამჯდომარე)
2. დემეტრე ეგნატაშვილი (თავმჯდომარის მოადგილე)
3. გიორგი ამირანაშვილი (მდივანი)
4. ინეზა გაგნიძე
5. ნინო დურგლიშვილი
6. ვალერიან რამიშვილი
7. ეკატერინე ფირცხალავა
8. რამაზ ხომერიკი

<u>**დღის წესრიგი:**</u>

<u>1. საარჩევნო კომისიის რეგლამენტის შექმნა</u>

მოისმინეს:

ი. კობახიძემ კომისიას მიმართა წინადადებით, შემჭიდროვებულ ვადებში მუშაობის გათვალისწინებით, საარჩევნო კომისიის რეგლამენტის შექმნის ნაცვლად, კომისიამ, ყოველი საჭიროებიდან გამომდინარე, მიიღოს ცალკეული გადაწყვეტილება, ან გააკეთოს განმარტება კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით და მიღებული გადაწყვეტილება თუ განმარტება აისახოს სხდომის ოქმში.

კენჭისყრის შედეგი:

გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს:

კომისია, ეყრდნობა რა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 30 სექტემბრის №96/2014 დადგენილებით დამტკიცებული „აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევის წესის“ მე–2 მუხლის მე–5 პუნქტს, რეგლამენტის შექმნის ნაცვლად, ყოველი საჭიროებიდან გამომდინარე, მიიღებს ცალკეულ გადაწყვეტილებას ან გააკეთებს შესაბამის განმარტებას კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით, რაც აისახება კომისიის სხდომის ოქმში.

<u>2. საარჩევნო კომისიაში საქმიან ქაღალდებთან მუშაობის წესის განსაზღვრა</u>

მოისმინეს:

ვინაიდან საარჩევნო კომისიის სახელზე ნებისმიერი დოკუმენტაციის მიღება წარმოებს თსუ-ის ცენტრალურ კანცელარიაში, გ. ამირანაშვილმა წამოაყენა წინადადება, რომ კომისიის მიერ სარეგისტრაციო ჟურნალის წარმოების საჭიროება არ დგას; შესაბამისად, მოხდეს კანცელარიაში შემოსული დოკუმენტების სხდომებზე განხილვა და კომისიის მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება აისახოს სხდომის ოქმში.

კენჭისყრის შედეგი:

გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს:

თსუ-ის ცენტრალურ კანცელარიაში საარჩევნო კომისიის სახელზე შემოსული განცხადებების განხილვა მოხდეს კომისიის სხდომებზე და მიღებული გადაწყვეტილება აისახოს სხდომის ოქმში.

3. <u>კომისიის ხელმძღვანელი პირების ფუნქციების განსაზღვრა, კომისიის აპარატისა და კომისიის სამსახურების შექმნა</u>

მოისმინეს:

დ. ეგნატაშვილმა წამოაყენა წინადადება, რომ კომისიამ იმუშაოს აპარატისა და სამსახურების შექმნის გარეშე და შესაბამისი ფუნქციები გადანაწილდეს კომისიის ყველა წევრზე.

კენჭისყრის შედეგი:

გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს:

კომისიის მუშაობა წარიმართოს აპარატისა და სამსახურების ჩამოყალიბების გარეშე და სხვადასხვა ფუნქციის გადანაწილება მოხდეს კომისიის ყველა წევრზე.

4. <u>რეგისტრირებული კანდიდატების თაობაზე ინფორმაციის გამოქვეყნების დროის დადგენა</u>

მოისმინეს:

ი. გაგნიძემ კომისიას მიმართა წინადადებით, რეგისტრირებული კანდიდატების შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდეს გარკვეული პერიოდულობით და არა - რეგისტრაციის ვადის ამოწურვის შემდეგ.

კენჭისყრის შედეგი:

გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს:

ყოველი სამუშაო დღის ბოლოს მოხდეს კანცელარიაში შემოსული განაცხადების გაცნობა და კონკრეტული თარიღის მდგომარეობით რეგისტრირებული კანდიდატების შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდეს თსუ-ის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

5. <u>დარეგისტრირებული კანდიდატების საკონკურსო პირობებთან შესაბამისობის შემოწმების მექანიზმის განსაზღვრა</u>

მოისმინეს:

ი. კობახიძემ წამოაყენა წინადადება, დარეგისტრირებული კანდიდატების საკონკურსო პირობებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, კომისიამ ოფიციალური თხოვნით მიმართოს თსუ-ის პერსონალის მართვის დეპარტამენტს.

კენჭისყრის შედეგი:

გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს:

დარეგისტრირებული კანდიდატების საკონკურსო პირობებთან შესაბამისობის დადგენა ეთხოვოს თსუ-ის პერსონალის მართვის დეპარტამენტს.

6. <u>კომისიის საკორესპონდენციო ბლანკის დამტკიცება</u>

მოისმინეს:

დ. ეგნატაშვილმა სხდომას დასამტკიცებლად წარუდგინა კომისიის მიერ საქმიან მიმოწერაში გამოსაყენებელი საკორესპონდენციო ბლანკის ნიმუში (დანართი N1).

კენჭისყრის შედეგი:

გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს:

დამტკიცდეს კომისიის საკორესპონდენციო ბლანკი (დანართი N1).

7. <u>კომისიის მორიგი სხდომის დროის განსაზღვრა</u>

მოისმინეს:

ი. კობახიძემ კომისიას შესთავაზა, მორიგი სხდომის ჩატარების დროდ განსაზღვრულიყო 10 ოქტომბერი, პარასკევი, 18:00 სთ.

კენჭისყრის შედეგი:

გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს:

საარჩევნო კომისიის რიგით მესამე სხდომა ჩატარდეს 10 ოქტომბერს, პარასკევს, 18:00 საათზე.

თავმჯდომარე /ი. კობახიძე/

მდივანი /გ. ამირანაშვილი/

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს წევრთა საარჩევნო კომისია

№__–_____ „___“ „_____“, 2014 წ.

კორესპონდენცია მოამზადა:

ილია ჭავჭავაძის გამზირი №1, 0179 თბილისი, საქართველო
ტელ.: +995 322 29 42 88
www.tsu.edu.ge